



კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი Design of interior and textile
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	დიზაინის ბაკალავრი Bachelor of design
ფაკულტეტის დასახელება	საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი მათა შარაბიძე
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 240 კრედიტი, 8 სემესტრი ძირითადი (major) პროგრამა - 180კრედიტი. დამატებითი (minor) პროგრამა/თავისუფალი კრედიტები - 60 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	12.06.2018 (საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №18)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
<p>საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> - სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩაბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები; - ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: <p>ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;</p> <p>ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;</p> <p>გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</p> <p>– ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი გარე ან შიდა მობილობის გზით.</p>	
პროგრამის მიზნები	
<p>პროგრამის მიზანია ჩამოაყალიბოს კვალიფიცირებული ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი მრავალმხრივი და საფუძვლიანი ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტი სხვადასხვა სტილისა (ისტორიული, თანამედროვე, ეთნიკური) და დანიშნულების (საცხოვრებელი, სამუშაო და დასასვენებელი) ინდივიდუალური (სახლი, ბინა, აგარაკი და ა.შ.) და საზოგადოებრივი (სასტუმრო, კაფე-რესტორანი, ოფისი და ა.შ.) ნაგებობის ინტერიერისა და მასში გამოყენებული ტექსტილის დიზაინისა და წარმოების ტექნოლოგიის მიმართულებით.</p>	

აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ კონკრეტული ამოცანების შესრულებას: ინტერიერის დიზაინის მიმართულებით - სხვადასხვა სტილისა (ისტორიული, თანამედროვე, ეთნიკური) და დანიშნულების (ინდივიდუალური და საზოგადოებრივი დანიშნულების საცხოვრებელი, სამუშაო და დასასვენებელი) ინტერიერის მხატვრულ-ესთეტიკური გაფორმების, ტექნიკური დაგეგმარებისა და პრაქტიკული რეალიზაციის, ინტერიერში ტექსტილის ნაწარმისა და ნაკეთობების შერჩევის შესახებ; ტექსტილის დიზაინის მიმართულებით - დეკორატიული ტექსტილის (თექა, ფარდაგი, ხალიჩა, გობელენი, ბატიკი) დამზადების ტრადიციული და თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების შესახებ; ტექსტილის წარმოების მიმართულებით - ტექსტილის დამზადებისათვის ნედლეულისა და მასალების განსაზღვრის, მექანიკური (დართვის, ქსოვის, ტრიკოტაჟისა და უქსოვადი მასალების წარმოების) და ქიმიური (ტექსტილის მომზადების, კოლორირებისა და სპეციალური თვისებების მინიჭების) ტექნოლოგიების შერჩევისა და შემუშავების, ტექსტილის კვლევისა და მისთვის სპეციალური თვისებების მინიჭების ხერხებისა და მეთოდების შესახებ.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

დიზაინის ბაკალავრის კვალიფიკაცია ენიჭება სტუდენტს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების პირველ საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე.

(სწავლის შედეგების რუქა ახლავს დანართის სახით, იხ. დანართი 2)

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>მიღებული აქვს მრავალმხრივი საბაზისო ცოდნა ინტერიერის დიზაინის, ტექსტილის მხატვრული გაფორმებისა და წარმოების ტექნოლოგიების სფეროში, რის საფუძველზეც:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეიცნობს და განიხილავს მსოფლიო და ქართული ხელოვნებისა და კულტურის ისტორიასა და განვითარების ტენდენციებს, სტილის შერჩევის წესებსა და თავისებურებებს, ფერთამცოდნეობის, ფერწერისა და ხატვის პრინციპებსა და კანონზომიერებებს; არქიტექტურისა და მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის საფუძვლებს; ინტერიერის ესკიზებისა და ჩანახატების, ასევე საფეიქრო სპეციალური ნახატის გონივრული და მართებული კომპოზიციის შექმნისა და მასალაში შესრულების საფუძვლებს, ხერხებსა და მეთოდებს; • ასახელებს, ჩამოთვლის და აღწერს: საფეიქრო ნაწარმის სახეებს და ასორტიმენტს, საფეიქრო მასალების ბოჭკოვან შემადგენლობასა და მათ თვისებებს; გაცნობიერებული აქვს ტექსტილის მასალათმცოდნეობის, დამზადების ტექნოლოგიების, კვლევისა და ახალი მასალების შემუშავების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები; ტექსტილის თვისებებსა და მისი დამზადების ტექნოლოგიებზე მოქმედი ფაქტორები და ლაბორატორიულ პირობებში მათი განსაზღვრისა და მართვის ხერხები და მეთოდები; • ამოიცნობს და ასახელებს ფუნქციური დანიშნულების ინტერიერის სახეებს, მათ სტრუქტურულ ელემენტებს, მისი შექმნისათვის გამოყენებულ ძირითად და დამხმარე მასალებს, აღწერს სივრცის ორგანიზებისა და სტრუქტურის განაწილების პრინციპებსა და წესებს; • აღწერს და აფასებს ინტერიერის ფიტოდიზაინის შესაძლებლობებს, თანამედროვე ინტერიერში გამოყენებული რბილი, მერქნული და მერქნის შემცველი მოდულური და კორპუსული ავეჯის კონსტრუქციებს, მასალებსა და ფურნიტურას, ივენთების მოწყობის თანამედროვე პრაქტიკასა და მეწარმეობის ზოგად თეორიულ და პრაქტიკულ საწყისებს.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ფერთა ჰარმონიული განაწილების, შუქ-ჩრდილების, სხვადასხვა სახის ორნამენტების გამოყენებით ქმნის და კითხულობს ფერწერული და საფეიქრო ნახატების კომპოზიციებს, ინტერიერის ესკიზებს; ხაზავს ბრტყელ და სივრცით ობიექტებს, ტექნიკურ ნახატებსა და ესკიზებს ხელით და კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით;

- ქმნის სხვადასხვა სტილისა და დანიშნულების ინტერიერის პროექტსა და ესკიზებს, ირჩევს მისთვის ტექსტილსა და დეკორატიულ - გამოყენებით ნაწარმს (თექა, ფარდაგი, ხალიჩა, ტრიკოტაჟი, ბატკი), ავეჯს, ბუნებრივ და ხელოვნურ მცენარეებს და მათი გამოყენებით ქმნის კომპოზიციებს, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა შინაარსის ივენთებს;
- ამზადებს ტრადიციულ ტექსტილსა და დეკორატიულ-გამოყენებით ნაწარმს სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით;
- შემოქმედებით აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში ითვალისწინებს და ეყრდნობა მსოფლიო კულტურას, არქიტექტურასა და ხელოვნებაში ისტორიული, თანამედროვე და ეთნიკური სტილის თავისებურებებს;
- პრაქტიკულ საქმიანობაში გონივრულად და ეფექტურად იყენებს ეროვნულ ნიშნებსა და ელემენტებს ქვეყნის ეროვნულ ტრადიციებისა და მატერიალური კულტურის პოპულარიზაციის მიზნით;
- ამზადებს საკვლევ ნიმუშებს ტესტირებისთვის და იყენებს ლაბორატორიულ კვლევით მოწყობილობებს; ლაბორატორიული და პრაქტიკული ტესტირების საფუძველზე იკვლევს და საზღვრავს სხვადასხვა ბოჭკოვანი შემადგენლობის ტექსტილური მასალებისა და ნაკეთობის ფიზიკურ-მექანიკურ და ქიმიურ თვისებებსა და მათ საექსპლოატაციო მახასიათებლებს სხვადასხვა ლაბორატორიული ხელსაწყოებისა და მეთოდების გამოყენებით;
- ახორციელებს კონკრეტული ტექსტილური ნაწარმისა და ახალი ტექსტილური პროდუქციის დამზადების მექანიკურ (დართვის, ქსოვის, უქსოვადი და ტრიკოტაჟული ტილოების მიღების) და ქიმიურ (მომზადების, კოლორირებისა და საბოლოო გამოყვანის) ტექნოლოგიურ პროცესებს ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში;
- ახდენს პირობითად აღებული საწარმოსათვის ბიზნეს-გეგმისა და აუცილებელი დოკუმენტაციის შემუშავებას.

- დასკვნის უნარი**
- დიზაინერული და ტექნოლოგიური ცოდნის შეჯერების საფუძველზე აკეთებს ორიგინალურ და დასაბუთებულ დასკვნას კონკრეტული ინტერიერის ან ივენთისათვის ფერის განაწილების, ფუნქციური დანიშნულების, სტილის, ტექსტილის ნაწარმისა და ნაკეთობების, ავეჯის, მცენარეებისა და დეკორის შერჩევისა და დამზადების ხერხების შესახებ;
 - გამოყენებული ტექსტილის დანიშნულების მიხედვით კატეგორიზაციის საფუძველზე იღებს რაციონალურ გადაწყვეტილებას კონკრეტული ნაწარმის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის, მასალებისა და დამზადების ხერხის შერჩევისა და გამოყენების თაობაზე; ტექსტილისათვის სპეციალური თვისებების მინიჭების აუცილებლობისა და ამისთვის განსახორციელებელი ტექნოლოგიური პროცესების შესახებ;
 - ნივთიერებათა თვისებებისა და ტექნოლოგიური პროცესების ანალიზის საფუძველზე შეუძლია დასკვნის გაკეთება ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის, მათი განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირებისა და პროცესების მართვის შესაძლებლობების შესახებ;
 - ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრის, გაანალიზების, ერთმანეთთან შედარება-დაკავშირების, მარტივი მათემატიკური მოდელების ანალიზის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს მექანიკური და ქიმიური პროცესის განხორციელების ხერხების შესახებ;
 - სხვადასხვა თემაზე მსჯელობისას იყენებს ფორმალურ-ლოგიკური და ლოგიკურ-მეთოდოლოგიური აზროვნების კლასიკურ მეთოდებსა და პრინციპებს.

- კომუნიკაციის უნარი**
- შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ

ენებზე; ფლობს ლოგიკური აზროვნების მექანიზმებსა და ორმხრივად აქტიური დიალოგის ფორმატში წარმოებული კომუნიკაციის უნარს;

- შეუძლია საკუთარი ნაშრომის საჯარო წარმოდგენა-პრეზენტაცია, სპეციალისტისა და არასპეციალისტის კითხვებსა და შენიშვნებზე ლოგიკური და ადექტატური პასუხების გაცემა, საჭირო საკითხებთან დაკავშირებით პროფესიული ინფორმაციის მოპოვება და დისკუსიაში მონაწილეობა;
- პარტნიორებთან ურთიერთობასა და შემოქმედებით საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება.

სწავლის უნარი

- ინფორმაციის დიფერენცირებისა და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე შეუძლია შეძენილი ცოდნის ობიექტურად შეფასება და დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა;
- ესმის პროფესიული ზრდისა და სრულყოფისათვის საკუთარი კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლების აუცილებლობა.

ღირებულებები

- პროფესიულ-პრაქტიკული საქმიანობის პროცესს წარმართავს პასუხისმგებლობის, კეთილსინდისიერების, პლაგიატთან შეურიგებლობის, შინაგანი დისციპლინისა და თვითორგანიზებულობის პრინციპებზე დაყრდნობით;
- საერთო მიზნებისა და ინტერესების განხორციელებისას აქტიურად მონაწილეობს გუნდურ მუშაობაში;
- აღიარებს და პატივს სცემს მსოფლიო და ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებს;
- წარმატებისა და კეთილდღეობის საფუძველად მიიჩნევს კარგ განათლებას და კეთილსინდისიერ შრომას;
- საზოგადოების განვითარების საფუძველად მიიჩნევს ისეთ ღირებულებებს, როგორცაა კანონიერება, ტოლერანტობა, პასუხისმგებლობა, გუნდურობა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელმძღვანელობს ეროვნული სიამაყის, პატრიოტიზმის, დამოუკიდებლობისა და არჩევანის თავისუფლების პრინციპით, მაღალი პოლიტიკური პასუხისმგებლობითა და მოქალაქეობრივი პოზიციის განცდით; პატივს სცემს სახელმწიფო ენას;
- ესმის პრაქტიკული საქმიანობისას პირადი და თანამშრომლების შრომის პირობების დაცვისა და გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა.

სწავლების მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტისათვის სწავლების ისეთი პროცესის ორგანიზებას, რომელიც უზრუნველყოფს:

- ძირითადი სპეციალობის საბაზისო კურსების დაუფლებას;
- პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი კურსების შესწავლას;
- არანაკლებ ერთი უცხო ენის შესწავლას;
- წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეძენას;
- პრაქტიკის გავლას და პროფესიული გამოცდილების მიღებას ტექსტილის და სამშენებლო-დიზაინერულ კერძო ფირმებსა და საწარმოებში.

პროგრამაში მთავარი ყურადღება ექცევა თეორიული და სპეციალური პრაქტიკული ცოდნის სინთეზს, რისთვისაც გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. პროგრამის განხორციელებისას აპრობირებული და დანერგილია სწავლების ისეთი ფორმების გამოყენება, როგორცაა ლექცია, ჯგუფში მუშაობა (ლაბორატორიული, პრაქტიკული მუშაობა), დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც გამოიყენება სწავლების აქტიური მეთოდები:

ვერბალური ანუ ზეპირი მეთოდი გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა-პასუხის, ინტერაქტიური მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები;

დისკუსია/დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი

მკვეთრად ამალეებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ მიღებული ცოდნა და ინტენსიურად ჩაერთონ ჯგუფში მუშაობის პროცესში, წარმოადგინონ მომზადებული პრეზენტაციები, განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სწავლების მეთოდია, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენებით სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილება კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად წარმოაჩინენ საკითხის მანამდე უცნობ მხარეებს.

წერიტი მეთოდების გამოყენებით სტუდენტების მიერ ხორციელდება გარკვეული სახის თეზისების, ესეების, რეფერატის, მოხსენებების, ანგარიშის მომზადება.

დემონსტრირების მეთოდი გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას და ეხმარება ლექტორს თვალსაჩინოდ გახადოს სასწავლო მასალის აღქმა. შესაძლოა, მასალა ერთდროულად ელექტრო ტექნიკური და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება ხორციელდება როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ.

ინდუქციური მეთოდი სწავლის პროცესში დახმარებას უწევს აზრის მსვლელობას კერძო (კონკრეტული) ფაქტებიდან განზოგადებისაკენ, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

დედუქციური მეთოდი ცოდნის გადაცემის ისეთი ხერხია, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის გამომქლავების ლოგიკური პროცესია, ანუ ზოგადიდან კონკრეტულისაკენ პროცესის მიმდინარეობის მართვაა.

ანალიზის მეთოდი გულისხმობს სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რაც ამარტივებს დასმული პრობლემის შემადგენელი ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც „მთელი“-ს დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მოცემული საკითხის ირგვლივ მსჯელობას. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

გუნდური მუშაობა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანის გადაჭრის პროცესში, საერთო მიზნებისა და ინტერესების განხორციელებისას ჯგუფის თითოეული მონაწილის აქტიურ ჩართულობას, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების დანაწილების ან პრობლემაზე ერთდროულად მუშაობის ფორმით.

პრეზენტაცია ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რის გამოც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. პრეზენტაციები შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი (Major) პროგრამა შედგება:
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებისაგან - 26 კრედიტი,
საუნივერსიტეტო არჩევითი კურსებისაგან - 10 კრედიტი,
სპეციალობის სავალდებულო კურსებისაგან - 134 კრედიტი,
სპეციალობის არჩევითი კურსებისაგან - 10 კრედიტი.
სასწავლო გეგმა იხ.დანართის სახით!
იხ დანართი 1.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

საგანმანათლებლო პროგრამაში კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

- შეფასების სისტემა:
- ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვროს 15 ქულით.

საბოლოო შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

დასაქმების სფეროები

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს, შექმნილი მრავალმხრივი ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით, შესაძლებლობა ექნება:

იმუშაოს

- ინტერიერის დიზაინერად დამოუკიდებლად ან არქიტექტორთან თანამშრომლობით სამშენებლო და დიზაინერულ ფირმებს, სალონებს, სტუდიებსა და ა.შ. ობიექტებში;
- დეკორატიულ-გამოყენებითი ტექსტილის ნაწარმის (თექა, ფარდაგი, ხალიჩა, გობელენი, ბატიკი, მხატვრული ტრიკოტაჟი) დიზაინერად;
- დიზაინერად, ტექნოლოგად ან კოლორისტად ტექსტილის საწარმოებში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება აწუს VII და XIII კორპუსების აუდიტორიები, ტექსტილის დიზაინისა და ტექნოლოგიის მიმართულების აუდიტორიები და ლაბორატორიები, საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული ტექნიკა სტუდენტებს მისცემს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ინტერნეტის მეშვეობით ინდივიდუალური კავშირი ლექტორ-მასწავლებლებთან.

პროგრამის განმხორციელებელი პერსონალი

გვარი, სახელი	აკადემიური თანამდებობა	სასწავლო კურსები	საკონტაქტო ინფორმაცია
მაია შარაბიძე	პროფესორი, ტექნიკის მეცნიერების დოქტორი	-ფერი და ინტერიერი -ფუნქციური ინტერიერის შექმნის საფუძვლები -ტექსტილის კოლორირების ტექნოლოგია -სტილის შერჩევის საფუძვლები -საკურსო სამუშაო ინტერიერის დიზაინში -საავტორო ნაშრომი -ექსპერიმენტული სამუშაო	ტელეფონი: 599 67-44-10, 577- 66- 84- 92 e-mail: maia.sharabidze@atsu.edu.ge
კონსტანტინე	პროფესორი,	-ტექსტილის კოლორირების	ტელეფონი: 577 13 15 21

სირბილაძე	ტექნიკის მეცნიერების დოქტორი	ტექნოლოგია -ექსპერიმენტული სამუშაო	e-mail: konstantine.sirbiladze@atsu.edu.ge
ელიზავეტა ბუაძე	ემერიტუსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი	-ფუნქციური ტექსტილის დიზაინი	ტელეფონი: 599 55 41 18 e-mail: elizaveta.buadze@atsu.edu.ge
ემირ ბაკურაძე	ემერიტუსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი	-დეკორატიული ქსოვის ტექნოლოგიის საფუძვლები -ექსპერიმენტული სამუშაო	ტელეფონი: 5-79-15-19-19; e-mail: emir.bakuradze@atsu.edu.ge
თამარ მოსეშვილი	ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიის დოქტორი	-ტექსტილის მასალათმცოდნეობა -მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის საწყისები -უქსოვადი ხალიჩების წარმოების ტექნოლოგიის საფუძვლები -ინტერიერის ტექსტილის ეთნოდიზაინი -ექსპერიმენტული სამუშაო	ტელეფონი: 595 51 84 55 e-mail: tamar.moseshvili@atsu.edu.ge
მაყვალა გოგოლაძე	ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიის დოქტორი	-დეკორატიული ნართისა და ძაფის წარმოების ტექნოლოგიის საფუძვლები -სამეწარმეო საქმიანობა -ექსპერიმენტული სამუშაო	ტელეფონი: 0431- 24 98 52; 599516144 e-mail: makvala.gogoladze@atsu.edu.ge
გოდერძი შანიძე	ასოცირებული პროფესორი, ბიზნესისა და მართვის დოქტორი	-სამეწარმეო საქმიანობა	ტელეფონი: 599173422 e-mail: goderdzi.shanidze@atsu.edu.ge
ნანული აბესაძე	მოწვეული პედაგოგი, ინჟინერიის დოქტორი	-დეკორატიული ქსოვის ტექნოლოგიის საფუძვლები -ფარდაგის, ხალიჩისა და გობელენის წარმოებისა და დიზაინის საფუძვლები -საავტორო ნაშრომი	ტელეფონი: 568 38 37 09 595-904408 e-mail: nanuli.abesadze@atsu.edu.ge
ქეთევან გოგინოვი	მოწვეული პედაგოგი, ინჟინერიის დოქტორი	-ფერი და ინტერიერი -დეკორატიული თექის წარმოების საფუძვლები -სპეციალური ტექსტილის ტექნოლოგიები -პრაქტიკა -საავტორო ნაშრომი -ივენტების დიზაინი	ტელეფონი: 597 422 442 e-mail: ketevan.goginovi@atsu.edu.ge
ნატო ფაილოძე	მოწვეული პედაგოგი, ინჟინერიის დოქტორი	-მხატვრული ტრიკოტაჟის წარმოების საფუძვლები -პრაქტიკა -ფუნქციური ტექსტილის დიზაინი -საავტორო ნაშრომი -ტრიკოტაჟული ორნამენტის დიზაინი -ექსპერიმენტული სამუშაო	ტელეფონი: 568 38 37 09 e-mail: nato.pailodze@atsu.edu.ge
რუსუდან ბოჭორიშვილი	მოწვეული პედაგოგი	-დეკორატიული თექის წარმოების საფუძვლები	ტელეფონი: 597 64 26 76 e-mail: rusudan.bochorishvili@atsu.edu.ge

		-ტექსტილის კოლორირების ტექნოლოგია -ბატიკის წარმოების საფუძვლები -საავტორო ნაშრომი	
ანზორ გვეტაძე	მოწვეული პედაგოგი	-ფერწერა და ხატვა -საფეიქრო სპეციალური ნახატის კომპოზიცია -ბატიკის წარმოების საფუძვლები	ტელეფონი: 597 60 10 16 e-mail: anzor.gvetadze@atsu.edu.ge
თამთა თურმანიძე	ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი	- ხელოვნებისა და კულტურის ისტორია - ქართული ხელოვნებისა და კულტურის ისტორია -ტექნიკური ხატვა - ესკიზები და ჩანახატები -სტილის შერჩევის საფუძვლები	ტელეფონი: 599 57 34 70 e-mail: tamta.turmanidze@atsu.edu.ge
ეთერ ბენიძე	ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი	-ინტერიერის ფიტოდიზაინი	ტელეფონი: 593 59 62 24 e-mail: eteri.benidze@atsu.edu.ge
ზაზა ჯორჯოლიანი	ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიის დოქტორი	-ტექნიკური ხატვა - ესკიზები და ჩანახატები	ტელეფონი: 577 13 15 82 e-mail: zaza.zhorzholiani@atsu.edu.ge
გიორგი ჩიჩუა	მოწვეული მასწავლებელი, საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი	- გრაფიკული CAD-ის პროგრამა Blender	ტელეფონი: 593 14 19 45 e-mail: giorgi.chachua@atsu.edu.ge
თეიმურაზ სახელაშვილი	მოწვეული მასწავლებელი, მართვის სიტემებისა და ავტომატიზაციის დოქტორი	- გრაფიკული CAD-ის პროგრამა Blender	ტელეფონი: 593252507 e-mail: teimuraz.sakhelashvili@atsu.edu.ge
ირაკლი ჩიხლაძე	მოწვეული მასწავლებელი, აწლ FabLab-ის გრაფიკული დიზაინერი	- გრაფიკული CAD-ის პროგრამა Blender - საკურსო სამუშაო ინტერიერის დიზაინში - საავტორო ნაშრომი	ტელეფონი: 593252507 e-mail: Irakli.chikhladze@atsu.edu.ge
მარინე მაისურაძე	მოწვეული მასწავლებელი, არქიტექტურის დოქტორი	- მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია	ტელეფონი: (+995)593 313 297 e-mail: marina_maisuradze@ymail.com
თინათინ ქორიძე	მოწვეული მასწავლებელი, არქიტექტურის მაგისტრი	- მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია - ფუნქციური ინტერიერის შექმნის საფუძვლები - საკურსო სამუშაო ინტერიერის დიზაინში - საავტორო ნაშრომი	ტელეფონი: 568 673 678 e-mail: tinakoridze@gmail.com
ნინო ფხაკაძე	ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი	-აკადემიური წერა	ტელ.: 555168170 e-mail: nino.pkhakadzen@atsu.edu.ge

მზევინარ ზაქარაია	ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიის დოქტორი	-კომპიუტერული საოფისე პროგრამები	ტელეფონი: 0-431-23 10 42, e-mail: mzevinar.zakaraia@atsu.edu.ge
მანანა ბანძელაძე	ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი	- ფილოსოფია	ტელეფონი: 593-32-34-60 e-mail: manana.bandzeladze@atsu.edu.ge
ავთანდილ ბუცხრიკიძე	ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი	-პოლიტოლოგია	ტელეფონი: 599 953242 e-mail: avtandil.buckhrikidze@atsu.edu.ge
მადონა ნიჟარაძე	ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი	-საქართველოს ისტორია	ტელეფონი: 595-09-78-03 e-mail: madona.nizharadze@atsu.edu.ge
კუხიანიძე ქეთევანი	მოწვეული მასწავლებელი	- დემოკრატია და მოქალაქეობა	ტელეფონი: 577 243-790; e-mail: ketevan.kukhianidze@atsu.edu.ge
ციცინო თურქაძე	პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი	- გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება	ტელეფონი: 593 93 18 34, e-mail: tsitsino.turkadze@atsu.edu.ge
ვასილ წიქვაძე	ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის ინჟინერიის დოქტორი	- ავეჯის დიზაინის განვითარების ისტორია	ტელეფონი: 577 31 67 22 e-mail: vasil.tsikvadze@atsu.edu.ge
ანა აფრიდონიძე ანა ფიფია ელენე ბერეკაშვილი თამარ მარდალეიშვილი მაია ოქროპირაშვილი ქეთევან სოფრომაძე მანანა მხელაძე თინათინ მეზურიშვილი ნინო თავიდაშვილი ლელა ონიანი მზია კოსტავა ქეთევან ჟორჟოლიანი მანანა პაპავა ლიდა ობოლაძე ნესტან ხვედელიძე თამარ ლორთქიფანიძე დალი ზაუტაშვილი თეა დაშნიანი მარინე კუჭუხიძე თამარ გრიგალაშვილი ფუჩქი კორიფაძე ქეთევან ხვედელიძე მზია ფარქოსაძე	ნათია ზვიადაძე ენათა ცენტრის მასწავლებლები	ენათა ცენტრის ხელმძღვანელი -უცხო ენები	ტელეფონი: +995577131858 e-mail: natia.zviadadze@atsu.edu.ge

4.6.	ექსპერიმენტული სამუშაო						0/45/0/0									3.6.
	სულ	10						10								
	ჯამი	180						180								